პროგრამის აღწერილობა

პროგრამის დასახელება (ქართულად და ინგლისურად)	**გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია - Applied Social Psychology**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფსიქოლოგიის მაგისტრი MA of Psychology
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	120 ECTS კრედიტი 2 წელი (4 სემესტრი) • სავალდებულო სასწავლო კურსები - 80 ECTS კრედიტი (45 ECTS კრედიტი სასწავლო კურსები, 30 ECTS კრედიტი სამაგისტრო ნაშრომი, 5 ECTS პრაქტიკა) • არჩევითი სასწავლო კურსები 30 ECTS კრედიტი • თავისუალი 10 ECTS კრედიტი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	ანასტასია ქიტიაშვილი, ფსიქოლოგიის დოქტორი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	სამაგისტრო პროგრამაზე მიღება ხდება შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე: 1. პროგრამაზე დაიშვება ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი შემდეგ სფეროებში: ფსიქოლოგია, განათლების მეცნიერებები, სოციალური მეცნიერებები, ბიზნესის ადმინისტრირება და სამართალი, ჰუმანიტარული მეცნიერებები; 2. საერთო სამაგისტრო გამოცდა; 3. გამოცდა სოციალურ ფსიქოლოგიაში; 4. გასაუბრება ინგლისურ ენაში. მობილობის ფარგლებში პროგრამაზე გადმოსვლა შეუძლიათ თსუ-ა ან სხვა უნივერსიტეტის სტუდენტებს საქართველოს კანონმდებლობის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეგულაციებისა და პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი მობილობის ადგილების შესაბამისად. სამაგისტრო პროგრამაზე “გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია” დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაცია არის საჯარო. ინფორმაცია განთავსებულია ფაკულტეტის ვებგვერდზე -

	https://www.tsu.ge/ge/faculties/psychology/0_tcykrkizcb75rkx/phd_programs/gamok_soc_ps_phd//
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	"გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტები დაეუფლონ გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის თეორიულ, მეთოდოლოგიურ და კვლევით პრინციპებს, გაეცნონ პრაქტიკასთან დაკავშირებულ პროფესიულ და კონტექსტუალურ საკითხებს. "გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაგისტრის ხარისხის მქონე ფსიქოლოგები რომლებსაც ექნებათ: **გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია** სოციალური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ფუნდამენტური მიმართულებაა. მისი მიზანია სოციალური პრობლემების ანალიზი სოციალური ფსიქოლოგიის პერსპექტივიდან და ამ პრობლემების დასაძლევად სოციალური ინტერვენციების შემუშავება, დანერგვა და შეფასება. **სოციალურ პრობლემებს შორისაა** მაგ: სიღარიბე, ძალადობა, სუიციდი, ნარკომანია, ალკოჰოლზე დამოკიდებულება, გენდერული უთანასწორობა, დისკრიმინაცია, გარემოს დაბინძურება და სხვა. გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის კვლევებსა და მიდგომებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალური ქცევისა და პრობლემების გაგებასა და რეგულაციაში. პრაქტიკული მნიშვნელობის გამო გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია ერთ-ერთი სწრაფად განვითარებადი მიმართულებაა. "გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს: 1. სოციალური ფსიქოლოგიის სფეროში თეორიული, მეთოდოლოგიური, კვლევითი პრინციპების, კონტექსტუალური საკითხების სიღრმისეული ცოდნა: 2. განუვითაროს სამეცნიერო, გამოყენებითი სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევების დაგეგმვისა და ჩატარების უნარი, თანამედროვე მოთხოვნებისა და ეთიკის ნორმების დაცვით 3. ჩამოუყალიბოს სოციალური პრობლემების ანალიზის უნარი სოციალურ-ფსიქოლოგიური პერსპექტივიდან, სოციალურ ქცევაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლის უნარი მიკრო, მაკრო და მეზო დონეებზე 4. განუვითაროს სოციალური პრობლემების გადაჭრის გზების მოძიების, სხვადასხვა სფეროებში სოციალური ინტერვენციების დაგეგმვის, დანერგვის ინიცირებისა და ინტერვენციის შეფასების უნარი კონკრეტული სოციალური ჯგუფის საჭიროების შესაბამისად.

სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება	სტუდენტი: 1. კრიტიკულად აფასებს სოციალური ფსიქოლოგიის სფეროში კლასიკურ და თანამედროვე თეორიებსა და მოდელებს, პრაქტიკასთან დაკავშირებულ პროფესიულ და კონტექსტუალურ საკითხებს. 2. კრიტიკული გააზრების საფუძველზე ახდენს ცოდნის ინტერპრეტაციას; აცნობიერებს ამ ცოდნის განზოგადების პრინციპებს ფსიქოლოგიისა და მომიჯნავე სფეროებში.
უნარები	სტუდენტს შეუძლია: 3. სოციალური პრობლემების სოციალურ-ფსიქოლოგიური პერსპექტივიდან კვლევა, სოციალურ ქცევაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა სხვა და სხვა დონეზე ფართო კონტექსტის გათვალისწინებით, როგორიცაა: ეკონომიკური, სოციალური, განათლების და სხვა. 4. სოციალური პრობლემების გადაწყვეტის გზების მოძიება და ახალი ინტერვენციების დანერგვის ინიცირება კონკრეტული სოციალური ჯგუფის საჭიროებების გათვალისწინებით. 5. განხორციელებული სოციალური ინტერვენციების შედეგებისა და მათ გავლენის შეფასება სოციალური პრობლემების მოგვარებაზე ჯგუფთან ერთად ან დამოუკიდებლად.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	სტუდენტს შეუძლია: 6. პროფესიულ საქმიანობის პროცესში თანამედროვე სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების დაცვა. 7. საკუთარი პროფესიულ განვითარების რეფლექსია, დაგეგმვა და განხორციელება, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი კოლეგების მხარდაჭერის საფუძველზე.
სწავლა/სწავლების მეთოდები	სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდებია: • დისკუსია/დებატები • თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება • შემთხვევის ანალიზი (Case study) • პროექტული სწავლება • გონებრივი იერიში (Brain storming) • დემონსტრირების მეთოდი • ინდუქცია- დედუქცია • ანალიზი და სინთეზი

	• ახსნა–განმარტებითი მეთოდი • ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება • ელექტრონული სწავლება (E-learning) და სხვა. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.
შეფასების წესი	(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ორი სახის უარყოფითი შეფასება: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. კონკრეტული სასწავლო კურსის შეფასების მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების მინიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 21 ქულა (დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 50%).

	სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე მაგისტრანტი სამაგისტრო ნაშრომს წარადგენს წინასწარ დაცვაზე; დადებითი შეფასების შემთხვევაში კი დაცვაზე. სამაგისტრო ნამუშევარს აფასებს სპეციალურად შედგენილი კომისია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეგულაციის შესაბამისად.
დასაქმების სფეროები	მაგისტრის ხარისხის მქონე ფსიქოლოგები შეძლებენ მუშაობას შემდეგ პოზიციებზე: • მკვლევარის, ფსიქოლოგის ან კონსულტანტის პოზიციაზე კვლევით, სოციალური პოლიტიკის განმსაზღვრელ სახელმწიფო სტრუქტურებში, არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციებში ისეთ სფეროებში როგორიცაა, სოციალური, განათლება, დასაქმება, ჯანმრთელობა, ორგანიზაციული, გარემოსდაცვითი და ა.შ • მათ ასევე შესაძლებლობა ექნებათ გააგრძელონ სწავლა დოქტორანტურაში.
სწავლის საფასური ქართველი და უცხოელი სტუდენტებისათვის	2250 ლარი
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	<u>1. ადამიანური რესურსები</u> გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე პროგრამის განხორციელებაში ჩართულია როგორც ფაკულტეტისა და თსუ აკადემიური პერსონალი, ასევე მოწვეული პრაქტიკოსები. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია აკადემიური პერსონალის რაოდენობა: 18 აკადემიური პერსონალის უზრუნველყოფის მხრივ პროგრამა მდგრადია. პროგრამას ემსახურება 11 აკადემიური პერსონალი ფაკულტეტიდან, რომელთაგან 1 პროფესორია და 10 ასოცირებული პროფესორი, და 7 მოწვეული პერსონალი (ამათგან 5 თსუ-დან და 2 სხვადასხვა ორგანიზაციიდან); პროგრამაში ასევე ჩართულია 4 დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტი რომელებიც აკადემიურ პერსონალთან ერთად უძღვებიან სემინარებს. <u>2. მატერიალური რესურსები</u> პროგრამა ხორციელდება თსუ მესამე სასწავლო კორპუსში, საერთო ფართი - 3091.48 კვ.მ სასწავლო ფართის საერთო მოცულობა - 1213,23კვ/მ; აუდიტორიების საერთო რაოდენობა -24 ერთეული. კომპიუტერული რესურსცენტრი - ოთახი 206- 20 ერთეული კომპიუტერი სტუდენტებისთვის, ლაბორატორია 1 – 20 ერთეული

	კომპიუტერი; ლაბორატორია 2 - 20 ერთეული კომპიუტერი; აუდიტორიებში ადგილების საერთო რაოდენობა - 814. თსუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკა; სასწავლო პროგრამა იყენებს საფაკულტეტო ბიბლიოთეკას, რომელშიც განთავსებულია ქართულენოვანი და უცხოენოვანი წიგნადი ფონდი. წიგნადი ფონდი მოიცავს სილაბუსებით გათვალისწინებულ სავალდებულო ლიტერატურას, სალექციო კურსებს, რიდერებს და სხვა სასწავლო მასალას (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომლის შევსება და განახლება ხდება ყოველწლიურად სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი და დამატებითი სახელმძღვანელოებით; აუდიტორიები აღჭურვილია ტექნიკით: თანამედროვე პროექტორი, პროექტორის ეკრანი, გახმოვანების აპარატურა; განახლებულია ინფრასტრუქტურა; გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტს გამოყოფილი აქვს სამუშაო აუდიტორია, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ მუშაობა. მათ წვდომა აქვთ კომპიუტერებზე, პრინტერებთან და სხვა სახის ტექნიკურ მოწყობილობებთან, რომელიც საჭიროა პროგრამის მომსახურებისათვის; ასევე კორპუსში განთავსებულია სამზარეულო პერსონალისათვის. 2017 წლის 8 დეკემბრიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, და შესაბამისად პროგრამის სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს წვდომა აქვს Clarivate Analytics პროდუქტზე - “Web of Science (WoS) 10 ”. “Web of Science” პლატფორმაზე წვდომა შესაძლებელია თსუ-ს ქსელში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერიდან www.webofscience.com “Web of Science” პლატფორმის გარდა წვდომა ჩართულია Journal Citation Report-ზე, საიდანაც შესაძლებელია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალების ჩამონათვალის ნახვა. **3. ფინანსური რესურსები** პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ფაკულტეტისთვის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ფარგლებში, ასევე, უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებული ხარჯებით, რომელიც ემსახურება, უნივერსიტეტის ცენტრალური

	აპარატის ფუნქციონირებას, კომუნალური ხარჯების დაფარვას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნებს და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების უზრუნველყოფას. ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის განხილვა დამტკიცების პროცესში ჩართულია ფაკულტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალი და სტუდენტები. უნივერსიტეტის ბიუჯეტში ყოველწლიურად გათვალისწინებულია თანხები ეკონომიკური შემოსავლების არაუმეტეს 2%-ის მოცულობით და სემესტრულად გაიცემა საუნივერსიტეტო დაფინანსება, რაც გულისხმობს სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსებას აკადემიური შედეგების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ფაკულტეტზე ხორციელდება მაგისტრანტი სტუდენტებისათვის სახელმწიფო სტიპენდიების დანიშვნა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი თანხების ფარგლებში.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	**სამაგისტრო პროგრამის ანალოგი:** გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამები ისწავლება შემდეგ უნივერსიტეტებში: გრონინგენის უნივერსიტეტი, ჰოლანდია https://www.rug.nl/masters/applied-social-psychology/?lang=en ჩიკაგოს უნივერსიტეტი, აშშ https://www.luc.edu/psychology/graduate/appliedsocialpsychologyprogram/appliedsocialpsychologyphdandmaprograms/ კლარემონტის უნივერსიტეტი, კალიფორნია https://www.cgu.edu/academics/program/applied-social-psychology/ გუელფის უნივერსიტეტი, ონტარიო, კანადა https://www.uoguelph.ca/psychology/graduate/applied-social/degree/ma უინძორის უნივერსიტეტი, კანადა https://www.uwindsor.ca/psychology/sites/uwindsor.ca.psychology/files/9449_phd_in_ac_psych_brochure_2019_hq.pdf **<u>პროგრამის აქტუალობა:</u>** სამაგისტრო პროგრამის შექმნა 2007 წელს თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სოროსის ფონდის აკადემიური სტიპენდიის პროგრამის (Academic Fellowship Program) დახმარებით. გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო

	პროგრამა 2009 წლიდან უწყვეტად ხორციელდება თსუ-ში. აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის ბოლო დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 2012 წლის 29 ივნისი, N57 დადგენილება. პროგრამის მომზადებისა და გადამუშავების პროცესში მონაწილეობდნენ სხვადასხვა საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორები (სტირლინგის უნივერსიტეტი, ჰავაის უნივერსიტეტი, ედინბურგის უნივერსიტეტი, კოლუმბიის უნივერსიტეტი, კონკორდიის უნივერსიტეტი). გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია საქართველოსთვის, სადაც არსებული სოციო-ეკონომიკური პრობლემების გარდა იზრდება სოციალური პრობლემების მასშტაბი. გამოყენებით სოციალურ ფსიქოლოგიას წვლილის შეტანა შეუძლია სოციალური პრობლემების გადაჭრაში ისეთ პრიორიტეტულ სფეროებში, როგორიცაა განათლება და დასაქმება, ქვეყნისა და ორგანიზაციის ეფექტური მმართველობა, დემოკრატიის მშენებლობა, ჯანდაცვა, მოწყვლადი ჯგუფების სოციალური ინტეგრაცია და სხვა. ანალიზი შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა დონეზე, ინდივიდუალურიდან დაწყებული საზოგადოებით დამთავრებული, ჯგუფისა და ორგანიზაციის ჩათვლით. ქვეყნის განვითარების სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების მიზნით მნიშვნელოვანია შესაბამისი ადამიანური რესურსის (კაპიტალის) არსებობა, პროფესიონალების მომზადება, რომლებიც შეძლებენ სოციალური პრობლემების ანალიზს, შესაბამისი სოციალური ინტერვენციების დაგეგმვის ინიცირებას, მონიტორინგსა და შეფასებას. ეს პროცესი უნდა დაემყაროს კვლევას, მტკიცებულებების შეგროვებასა და ანალიზს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სფეროში მეცნიერ-მკვლევარებისა და კონსულტანტების მომზადება, რომელთაც შესაბამისი ცოდნა და სოციალური პრობლემების ანალიზის კომპეტენცია ექნებათ. პროგრამის არსებობის მანძილზე როგორც პროგრამის ფარგლებში ასევე უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული კვლევები, აჩვენებს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალ მაჩვენებელს სტუდენტებს შორის. სწავლების პროცესში დასაქმებულია დაახლოებით 85%, ხოლო სწავლის დასრულებიდან 3 თვის ვადაში 100 %. კურსდამთავრებულთა დასაქმების პოზიციებია: სოციოლოგი, ფსიქოლოგი, თერაპევტი, SPSS სპეციალისტი, მკვლევარი, ანალიტიკოსი, კვლევების მენეჯერი, HR

	მენეჯერი, პროექტების მენეჯერი, მონიტორინგისა და შეფასების ოფიცერი, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი, და სხვა. დასაქმების ორგანიზაციებია: საბანკო სექტორი, კლინიკები და ფსიქოლოგიური ცენტრი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, არასამთავრობო ორგანიზაციები: People in Need, CTC, CRRC, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი და სხვა. <u>საკვლევი სფეროების ნიმუშები:</u> 1. განწყობა, განწყობასა და სოციალურ ქცევას შორის კავშირი, განწყობის ჩამოყალიბება და შეცვლა თანამედროვე თეორიებისა და მოდელების საფუძველზე; 2. მე- კონცეფცია, იდენტობა და სოციალური-იდენტობა; თვითშემეცნება, თვითშეფასება და მისი გავლენა სოციალურ ქცევაზე; 3. სოციალური სტატუსის გავლენა ადამიანის კოგნიციაზე, ემოციასა და ქცევაზე; სიღარიბეში მცხოვრები, იძულებით გადაადგილებული, უმუშევარი, ეროვნული უმცირესობების და სხვა სოციალური ჯგუფების მაგალითზე. 4. სტიგმა, სტერეოტიპები, დისკრიმინაცია, თვითსტიგმატიზება; ეიჯიზმი, სექსიზმი, რასიზმი. 5. აგრესია და ძალადობა სხვადასხვა გარემოში: სკოლა, სამუშაო, ოჯახი და სხვა. 6. სოციალური ურთიერთობების როლი სოციალური ქცევისა და დამოკიდებულებების ფორმირებაში 7. სოციალური პრობლემების ანალიზი (მაგალითად, სიღარიბე, ძალადობა, გენდერული უთანასწორობა, დისკრიმინაცია, გარემოს დაბინძურება და სხვა.), მათი შემცირების სოციალურ-ფსიქოლოგიური ინტერვენციების დაგეგმვა, განხორციელების ინიცირება და შეფასება.

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა**
ინსტიტუტი : **სოციალური ფსიქოლოგია**
სასწავლო პროგრამის სახელწოდება: **„გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია“**
სწავლების საფეხური: **მაგისტრატურა**
სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: **ანასტასია ქიტიაშვილი, ასოცირებული პროფესორი**
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი: დადგენილება 69/2021; 29 ივლისი 2021 წელი (დანართი 229); ცვლილება 90/2022, 3 ოქტომბერი 2022 (დანართი 229)
პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2021-2022 სასწავლო წელი

სამაგისტრო პროგრამა შედგება 80, სავალდებულო კრედიტისგან (მათ შორის, 45 კრედიტი სალექციო კურსები, 30 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომი, 5 პრაქტიკა,) 30 კრედიტი არჩევითი კურსია, 10 კრედიტი - თავისუფალი.									
კოდი	**სასწავლო კურსის დასახელება**	**კრედიტების რაოდენობა ECTS**	**სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში**		**სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში**	**საგანზე დაშვების წინაპირობა**	**სწავლების სემესტრი**		**ლექტორი/ლექტორები**
			ლექცია	**სამუშაო ჯგუფი / პრაქტიკუმი**			**შემოდგომა**	**გაზაფხული**	
	სავალდებულო სასწავლო კურსები								
	სოციალური პრობლემები და სოციალური ინტერვენციები								
1.	სოციალურ ფსიქოლოგიის აქტუალური საკითხები (გამოყენებითი სოც. ფსიქოლოგია)	5	30	15	80	წინაპირობის გარეშე	✓		ა.ქიტიაშვილი

2.	გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია - (გამოყენებითი სოც. ფსიქოლოგია)	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე		✓	ა.ქიტიაშვილი
3.	გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია და სოციალური ინტერვენციები -(გამოყენებითი სოც. ფსიქოლოგია)	5	15	30	80	გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია	✓		ა.ქიტიაშვილი ნ. ფარსადანიშვილი გ. ჭუმბურიძე
4.	თანამედროვე სოციალური პრობლემების სოც. ფსიქოლოგიური კონტექსტი (გამოყენებითი სოც. ფსიქოლოგია)	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე	✓		თ. მახარაძე
5.	პიროვნების ფსიქოლოგია – თეორია და კვლევა (გამოყენებითი სოც. ფსიქოლოგია)	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე		✓	ი. ჟვანია
	კვლევითი სასწავლო კურსები								
6.	ალბათურ-სტატისტკური მეთოდების გამოყენება სოციალურ კვლევაში (გამოყენებითი სოც. ფსიქოლოგია)	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე	✓		პ. ბაბილუა
7.	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები (გამოყენებითი სოც. ფსიქოლოგია)	5	15	30	80	წინაპირობის გარეშე	✓		ნ. ფარსადანიშვილი
8.	თვისებრივი კვლევის მეთოდები (გამოყენებითი სოც. ფსიქოლოგია)	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე		✓	ა.ქიტიაშვილი თ. გველესიანი
9.	რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი SPSS-ის საშუალებით (გამოყენებითი სოც. ფსიქოლოგია)	5	15	15	95	ალბათურ-სტატისტკური მეთოდების გამოყენება სოციალურ კვლევაში	✓		ე. მაღლაკელიძე
	არსჩვითი სასწავლო კურსები								
	სპეციალობის სასწავლო კურსები -					**სტუდენტს შეუძლია აირჩიოს მაქს. 2 ხუთკრედიტიანი საგანი ფაკულტეტის ან**			

						უნივერსიტეტის კურიკულუმიდან			
	განწყობის ფსიქოლოგია, ცრუ რწმენები და სტერეოტიპები								
10.	დ. უზნაძის განწყობის თეორია თანამედროვე ფსიქოლოგიის კონტექსტში (იურიდიული ფსიქოლოგია)	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე			ვ. ნადარეიშვილი
11.	ცრუ რწმენები, სტერეოტიპები და დისკრიმინაცია: გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის პერსპექტივები (გამოყენებითი სოც. ფსიქოლოგია)	5	15	30	80	წინაპირობის გარეშე			ა. ქიტიაშვილი, ნ. ფარსადანიშვილი თ. გველესიანი
12.	გენდერი და განვითარება	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე			თ. საბედაშვილი
13.	სტრესის ზემოქმედების შემცირების მექანიზმები - მაინდფულნესი/მაინდფულნეს კვება (გამოყენებითი სოც. ფსიქოლოგია)	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე			ე. ბერძენიშვილი
	სოციალური გავლენები და ინტერპერსონალური ურთიერთობები								
14.	ჯგუფთან მუშაობის მეთოდები (გამოყენებითი სოც. ფსიქოლოგია)	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე			გ. ყიფიანი
15.	სოციალური სამართლიანობის თეორიები (გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია და იურდიული ფსიქოლოგია)	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე			ნ. ფარსადანიშვილი
16.	სოციალური გავლენები და ჯგუფის დინამიკა (გამოყენებითი სოც. ფსიქოლოგია)	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე			ე. ფირცხალავა
17.	ინტერპერსონალური კომუნიკაციის ფსიქოლოგია (გამოყენებითი სოც. ფსიქოლოგია)	5	15	30	95	წინაპირობის გარეშე	✓		ზ. მხეიძე ე. მაღლაკელიძე

18.	პოლიტიკური კომუნიკაციის ფსიქოლოგია (გამოყენებითი სოც. ფსიქოლოგია)	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე			ე.კვანჭილაშვილი
	კროს-კულტურული ფსიქოლოგია								
19.	კულტურათაშორისი ფსიქოლოგია (გამოყენებითი სოც. ფსიქოლოგია)	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე			ე. კვანჭილაშვილი
20.	ემოცია და კულტურა (კულტურული ანთროპოლოგია და გამოყენებითი სოც. ფსიქოლოგია)	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე			თ. აბაშიძე
21.	ენა და კულტურა (გამოყენებითი სოც. ფსიქოლოგია)	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე			ი. მინდაძე
22.	სელფი, ეთნიკური იდენტობა და ნაციონალიზმი	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე			ვ. გამსახურდია
	განათლების და ორგანიზაციის ფსიქოლოგია								
23.	განათლების ფსიქოლოგია	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე			ი. აფთარაშვილი
24.	ზოგადი მენეჯმენტი (შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია)	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე			ლ. სუხიტაშვილი
25.	კარიერის მენეჯმენტი (შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია)	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე			ს. დოლიძე
26.	გარემოს ფსიქოლოგია (გამოყენებითი სოც. ფსიქოლოგია)	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე			თ.ტყეშელაშვილი
	სოციალური კვლევა და შეფასება								
27.	რაოდენობრივი კვლევის მონაცემების სტატისტიკური დამუშავება -2 (გამოყენებითი სოც. ფსიქოლოგია)	5	15	15	95	რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი SPSS-ის საშუალებით			ვ. კეჭაყმაძე
28.	ვიზუალური კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებაში	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე			მ. მესტვირიშვილი

29.	სოციალური ინტერვენციებისა და პროექტების შეფასება (გამოყენებითი სოც. ფსიქოლოგია)	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე			ა. ქიტიაშვილი თ. გველესიანი
30.	კვლევითი სტატიების ანალიზი და პრეზენტაცია (გამოყენებითი სოც. ფსიქოლოგია)	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე			ნ. უძილაური
	სავალდებულო								
30.	**პრაქტიკა** (გამოყენებითი სოც. ფსიქოლოგია)	5	75[1]	50	50				პრაქტიკის ორგანიზაციები
	სამაგისტრო პროექტი ან ნაშრომი	**30**							
	თავისუფალი კრედიტი	**10**							

[1] 5 კვირა, კვირაში 15 სთ